სამშენებლო ობიექტების
კომპიუტერული ტექნოლოგიებით
პროექტირების საინჟინრო ცენტრი
**შპს პროგრესი**
ს/კ 204970380

ENGINEERING CENTER OF
COMPUTER AIDED
DESIGN
**PROGRESI LTD**
I/C 204970380

საქართველო, 0160 თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №16, II სართული
16 Vazha-pshavela Ave., II fl., 0160 Tbilisi, GEORGIA

№02/01 22.01.2014წ.

## ქ. თბილისში, ატენის ქ.№17-19 და ატენის შესახვევის №16–ში მშენებარე მრავალსართულიანი მრავალფუნქციური შენობისა და მიმდებარედ არსებული საცხოვრებელი სახლებისა და შენობა-ნაგებობების ურთიერთ გავლენის შესახებ

დღეისათვის ატენის ქ.№17-19–ში ნაწილობრივ შესრულებულია ქვაბულის ამოღების სამუშაოები. ქვაბულის კედლები 3 მხრიდან: ატენის ქუჩის, ატენის შესახვევის და მათი შემაერთებელი ქუჩის მხრიდან, გამაგრებულია ხიმინჯებითა და მათი დამჭერი გრუნტის ანკერების კონსტრუქციებით. ქვაბულის კედლების სრული მოცულობით გამაგრების სამუშაოები დღეისათვის შეჩერებულია.

პროექტის მიხედვით ხიმინჯები განლაგებულია მისი პერიმეტრის უმეტეს ნაწილზე ბიჯით -1.2მ, ხოლო ანკერები კი 4 იარუსად. ქვაბულის დამუშავების პროცესში ნაწილობრივ განხორციელებულია ხიმინჯების მოწყობა და მოწყობილია ზედა რიგის ანკერების მხოლოდ ორი რიგი ოთხი რიგის სანაცვლოდ. ამჟამად ქვაბულის ძირი ამოღებულია - 10.4მეტრის სიღრმით მიწის ზედაპირიდან.

ქვაბულისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის გარდა უკვე ჩატარებული სახელდახელო და გადაუდებელი დროებითი ღონისძიებებისა *(ქვაბულის დასველებული კედლის გასწვრივ, ქვაბულში მოეწყო მდინარის ხრეშის ყრილი; - კოლექტორსა და ქვაბულის მიმდებარე ტერიტორიაზე გრუნტის ჩამოშლით გამოწვეული სიცარიელე შეივსო ღორღისა და ცემენტის ნაზავით, ქუჩის მხარეს ასფალტის ქვეშ არსებული სიცარიელეები შევსებული იქნა ბეტონით).* აღნიშნული სამუშაოების შემდეგ ქვაბულის ჩამოქცევის საშიშროება პრაქტიკულად გამოირიცხა, მაგრამ აღნიშნული წარმოადგენს დროებით ღონისძიებას. აღნიშნულ უბანზე ქვაბულისა და შენობა-ნაგებობათა უსფრთხო ექსპლუატაციის მიზნით უმოკლეს დროში უნდა განხორციელებული იქნეს შემდეგი სამუშაოები და ღონისძიებები:

1. არსებული რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე და ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით უამოკლეს დროში

2. განხორციელებული იქნეს ქვაბულის კედლების გამაგრება-გაძლიერების დარჩენილი ტექნიკური ხასიათის საპროექტო გადაწყვეტები და შესაბამისი სამუშაოთა მოცულობანი.
3. საპროექტო გადაწყვეტების მიხედვით ახალი (კორექტირებული) მშენებარე საცხოვრებელი შენობის დაფუძნება განსაზღვრულია ხიმინჯოვანი საძირკვლებით კლდოვან ქანებზე, რაც თავის მხვრივ სრულად გამორიცხავს ირგვლივ არსებულ შენობა-ნაგებობებზე ზეგავლენას მათზე დეფორმაციებისა და დამატებითი ძაბვების გადაცემის თვალსაზრისით.
4. მშენებარე მრავაფუნქციური შენობისა და ქვაბულის პროექტი დამუშავებული და შესრულებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნილებათა მიხედვით, რაც წარმოადგენს დამატებით გარანტიას არსებული და მშენებარე შენობა-ნაგებობების უსაფრთხო და საიმედო მრავალწლიანი ექსპლუატაციის თვალსაზრისით.

შპს "პროგრესი"–ს დირექტორი ჯონი გიგინეიშვილი

ქ. თბილისი
22.01.2014

შპს "პროგრესი"
სამშენებლო ობიექტების კომპიუტერული ტექნოლოგიებით პროექტირების საინჟინრო ცენტრი
tel: 237.10.09; mob. 599/18.55.26